განკარგულება:**გ-27. 27242393**
თარიღი:**26/08/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №45

26 აგვისტო 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „დაირექტ დებიტ ჯორჯიასათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 29 ივლისს შემოვიდა შ.პ.ს. „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ განცხადება, რომელიც ეხება ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირე მდებარე 1 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.20.37.686), ერეკლე II-ის გამზირზე არსებული 1 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.20.37.679) და ერეკლე II-ის მოედანზე არსებული 1 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.20.37.676) იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

საიჯარო ქირის წლიური საფასური თითოეულ უძრავ ქონებაზე შ.პ.ს. „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტის“ 2024 წლის 05 აგვისტოს N393 აუდიტორული დასკვნის საფუძველზე განისაზღვრა 120 ლარით.

ზემოაღნიშნული 3 ერთეული უძრავი ქონების ამ ეტაპზე სხვა მიზნით განკარგვა თელავის მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაგეგმილი, ხოლო იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, საიჯარო ქირის შემოსვლით გაიზრდება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შ.პ.ს. „დაირექტ დებიტ ჯორჯიას“ (ს/ნ 205130464) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით **2 (ორი)** წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირე მდებარე 1 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.20.37.686); საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს **120 (ასოცი)** ლარით.

ბ) ქ. თელავში, ერეკლე II-ის გამზირზე არსებული 1 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.20.37.679); საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს **120 (ასოცი)** ლარით.

გ) ქ. თელავში, ერეკლე II-ის მოედანზე არსებული 1 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 53.20.37.676); საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს **120 (ასოცი)** ლარით.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი